ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის
ოქმი № 20

ქ. თბილისი, 30 ოქტომბერი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 24 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ
/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

3. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტისათვის შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ
/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტისათვის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ
/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

6. ყოფილი თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ) 2005 წლის კურსდამთავრებულისთვის დიპლომის დანართისთვის შეფასებების აღდგენის შესახებ
/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

7. ახალი სახელმძღვანელოების, არსებითად გადამუშავებული და სახელმძღვანელოების თარგმანის გამოცემის შესახებ
/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძე/

8. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	დამატებითი სპეციალობა (Minor)

დიპლომი ჩვეულებრივი:

1.	**ზედიაშვილი მარიამ**	01005030141
2.	ჭალალიძე თამარ	61006073595

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	დამატებითი სპეციალობა (Minor)

დიპლომი ჩვეულებრივი:

1.	**ზედიაშვილი მარიამ**	01005030141

2. ჭაღალიძე თამარ 61006073595

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№25260/10, 27.09.2024) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულ თეა (ამჟამად თიკო) ცარციძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ თეა დავითის ასული ცარციძე 2000 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/744, 2.08.2000).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ თეა ცარციძეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 9 ივლისის №4/784 ბრძანებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№11865 (სარეგისტრაციო №01/07) რეგისტრირებულია თეა ცარციძის სახელზე. მის სახელზე გაცემული დიპლომის დანართიდან ჩანს, რომ **„თეა ცარციძე (დაბადებული 1983 წელს) 2000 წელს ჩაირიცხა თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაზე. 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ეკონომიკური კიბერნეტიკა და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია.“**

თეა ცარციძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის (დღის განყოფილება) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის (ოქმი №3) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/784, 9.07.2007) მინიჭებულ ხარისხთან.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ეკონომიკური

კიბერნეტიკის“ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია.**

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მიმართა შუალმდგომლობით, რათა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკა სპეციალობაში (დღის განყოფილება) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა, რომ შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკა სპეციალობაში (დღის განყოფილება) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №3) და აღნიშნულ ოქმში დაფიქსირებულ კურსდამთავრებულ თეა ცარციძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით (სპეციალობა: ეკონომიკური კიბერნეტიკა)“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით (სპეციალობა: ეკონომიკური კიბერნეტიკა)“.**

აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკა სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3) დაფიქსირებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკა სპეციალობაში (დღის განყოფილება) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №3) და აღნიშნულ ოქმში დაფიქსირებულ კურსდამთავრებულ თეა ცარციძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით (სპეციალობა: ეკონომიკური კიბერნეტიკა)“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით (სპეციალობა: ეკონომიკური კიბერნეტიკა)“.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკა სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3) დაფიქსირებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტისათვის შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მარიამ ქუთათელაძის** სადისერტაციო ნაშრომის - **„სასტუმრო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის საფუძველზე"** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე**), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

შემფასებლები: პროფესორი კონსტანტინე აბულაძე სდასუ

პროფესორი ელისაბედ ბალიაშვილი სდასუ

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა
2. პროფესორი დავით ნარმანია
3. პროფესორი იოსებ ხელაშვილი
4. ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია
5. ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი მანანა ალადაშვილი - **იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
7. პროფესორი ლელა კოჭლამაზაშვილი -**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
8. ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ურუტაძე
9. ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე
10. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
11. ასისტენტ-პროფესორი მარიან ალანია

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მარიამ ქუთათელაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

1. ლუკა ცერცვაძე - ,,სოფთვეარ დეველოპერული კომპანიების როლი საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაში"
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი გიორგი ღაღანიძე**
2. ლელა ადუაშვილი - ,,კონკურენცია ბოსტნეულის ბაზარზე და ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში"
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი ეთერ ხარაიშვილი**

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტებისათვის წარმოდგენილი სადისერტაციო თემა და მეცნიერ- ხელმძღვანელები.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტისათვის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ
/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ შემოსულია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ლევან იობაშვილის* განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: რამდენადაც ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი **ლევან იობაშვილი** არის თსუ-ს თანამშრომელი მიეცეს სწავლის საფასურზე შეღავათი,

მოისმინეს: ყოფილი თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ) 2005 წლის კურსდამთავრებულისთვის დიპლომის დანართისთვის შეფასებების აღდგენის შესახებ

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მანანა ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის ფინანსებისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთვრებულმა ლია გოგიაშვილმა (ამჟამად, ლია გოგიაშვილი-ხარაზი) დიპლომის დანართის თაობაზე.

აღნიშულიდან გამომდინარე, ლია გოგიაშვილი-ხარაზის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი

უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ **ლია გოგიაშვილი** 2003 წელს ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის მაგისტრატურაში ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №04-02/22-07, §1, 04.10.2003).

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის ფინანსებისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის საატესტაციო კომისიის დასკვნითი სხდომის (ოქმი №1, 21.06.2005) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის 2005 წლის 27 ივნისის №01-04/10 ბრძანებით საატესტაციო კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საფუძველზე ლია გოგიაშვილს მიენიჭა ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მენეჯერი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №070082 (სარეგისტრაციო №407) რეგისტრირებულია ლია გოგიაშვილის სახელზე.

ლია გოგიაშვილის პირად საქმეში არ იძებნება სტუდენტის სასწავლო ბარათი და დიპლომის დანართი. ასევე, არ იძებნება უწყისები, სადაც დაფიქსირებულია კურსდამთავრებულის შეფასებები. აღნიშნული ფაქტი, გამოწვეულია გარკვეული მიზეზებით, კერძოდ, ფაკულტეტზე არსებული უწყისების ნაწილი არქივში გადაცემული არ არის და არც დამატებითი მოკვლევით არ იძებნება. ლია გოგიაშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების ავთენტურობის დამადასტურებელი ფაქტებია:

- ✓ თეუსუ-ს დებულების თანახმად სტუდენტი საატესტაციო-საკვალიფიკაციო გამოცდებზე დეკანის ბრძანებით დაიშვებოდა მხოლოდ სასწავო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლიმების ჩაბარების შემდეგ;
- ✓ დამატებითი მოკვლევით მოძიებული საატესტაციო-საკვალფიკაციო გამოცდების უწყისები;

- ✓ საატესტაციო კომისიის დასკვნითი ოქმი №1, 21.06.2005;
- ✓ რექტორის ბრძანება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე (ბრძანება №01-14/10, 27.06.2005);
- ✓ ლია გოგიაშვილის სახელზე გაცემული დიპლომი №070082 (სარეგისტრაციო №407).

თსუ იურიდიულ დეპერტამენტთან და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე გადაწყდა, რომ ლია გოგიაშვილის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია იძლევა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას. ფაკულტეტისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს უწყისების არ არსებობა. აღნიშნული საკითხი არ შეიძლება წარმოადგენდეს პირის უფლების შეზღუდვის საფუძველს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით აღიარებული და დაცული იურიდიული ინტერესის ხელყოფა.

საბჭოს ეთხოვა კურსდამთავრებულთან შეთანხმებით შეფასებები აღდგეს ფრიადის მინიმალური ქულებით. კერძოდ, მომზადდეს ლია გოგიაშვილის სახელზე დიპლომის დანართი და ყველა სასწავლო კურსის შეფასებაში აისახოს ფრიადის მინიმალური შეფასება 91 ქულა.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მომზადდეს **ლია გოგიაშვილის** სახელზე დიპლომის დანართი და ყველა სასწავლო კურსის შეფასებაში აისახოს ფრიადის მინიმალური შეფასება 91 ქულა.

მოისმინეს: ახალი სახელმძღვანელოების, არსებითად გადამუშავებული და სახელმძღვანელოების თარგმანის გამოცემის შესახებ

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში
აკაკი მიქაბერიძე/

მენეჯერმა საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ახალი სახელმძღვანელოს ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის, დაფინანსების მიღების პროცედურებისა და სახელმძღვანელოების შექმნისა და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად წამოდგენილია ექვსი განაცხადი.

I ახალი სახელმძღვანელოს გამოცემის დაფინანსების კონკურსი

1. პროექტი

„შიდა აუდიტი“

პროექტის ხელმძღვანელი და ავტორი პროფესორი ლევან საბაური

პროექტის ბიუჯეტი - 6000 ლარი

2. პროექტი

,,სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის: ნაწილი I“

(სახელმძღვანელო, საგანი - ,,სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის“ (პირველი და მეორე ნაწილი).

სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაწილე ავტორთა ჯგუფი: პროფესორი სიმონ გელაშვილი, ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე, ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი, ასოცირებული პროფესორი მაია გიორგიბიანი, ასოცირებული პროფესორი ლია ძებისაური, ემერიტუს-პროფესორი ქეთევან მარშავა, ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ჩიტალაძე)

პროექტის ბიუჯეტი -8200 ლარი

II უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის კონკურსი

1. პროექტი

Klump R. (2021), Wirtschaftspolitik (Instrumente, Ziele und Institutionen), Publisher: Pearson Studium; 4., aktualisierte edition, Language: German, p. 416

(სახელმძღვანელო, საგანი - ეკონომიკური პოლიტიკა 1, 2)

მთარგმნელები: პროფესორი რევაზ გველესიანი, ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი)

პროექტის ბიუჯეტი - 8360 ლარი

2. პროექტი

Benassy- Quere A., Coeure B., Jacquet P., Pisani-Ferry J. (2019), Economic Policy (Theory & Practice), Publisher: Oxford University Press; Second Edition, Language: English, p. 705.

(სახელმძღვანელო, საგანი - ეკონომიკური პოლიტიკა II; მაგისტრატურა)

მთარგმნელები ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი, ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი, ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი, ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია)

პროექტის ბიუჯეტი - 14100 ლარი

3. პროექტი

Tom Tietenberg, Lynne Lewis. Environmental and Natural Resource Economics, 12th Edition.

პროექტის მონაწილეები: ნაზირა კაკულია- ასოცირებული პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი; მალხაზ ჩიქობავა-ასოცირებული პროფესორი; მანანა ლობჟანიძე - ასოცირებული პროფესორი - მთავარი სამეცნიერო რედაქტორი (ანაზღაურების გარეშე)

პროექტის ბიუჯეტი - 12000 ლარი

III არსებითად გადამუშავებული /განახლებული სახელმძღვანელოს სახით წარმოდგენილი

პროექტი

„მიკროეკონომიკა“

ეთერ ხარაიშვილი - პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი, სახელმძღვანელოს თანაავტორი,

სახელმძღვანელოს თანაავტორები: ინეზა გაგნიძე- ასოცირებული პროფესორი; ია ნაცვლიშვილი ასოცირებული პროფესორი; მარინე ნაცვალაძე - ასოცირებული პროფესორი

პროექტის ბიუჯეტი - 1000 ლარი

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფესორებმა თ. შენგელიამ და ლ. საბაურმა

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მისასალმებელია მსგავსი პროექტების განხორციელება უნივერსიტეტში. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი თითოეული პროექტი პასუხობს სახელმძღვანელოების შექმნისა და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული /განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსში საკონკურსო განაცხადების დაფინანსებას და შესაბამისი გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდოს აკადემიურ საბჭოს.

მიმდინარე საკითხები

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა გ. ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ

1. მოვიდა საბოლოო დასკვნა ბიზნეს ადმინისტრირების კლასტერზე. 7 პროექტიდან არის მხოლოდ ორი რეკომენდაცია. უმოკლეს ვადაში იქნება სააკრედიტაციო საბჭო და მივიღებთ ამ მნიშვნელოვან აკრედიტაციას. ეკონომიკაში აკრედიტაცია მიღებული გვაქვს. ყველა საგანში უნდა გადაიხედოს, დაიხვეწოს და განახლდეს ლიტერატურა და რიდერები.
2. მოახლოვდა შუალედური გამოცდები. იმ საგნებში, რომელიც ტარდება საგამოცდო ცენტრში, უზრუნველყოფილ იქნას ვარიანტულობა. საგამოცდო ცენტრს დროულად მიეწოდოს როგორც ტესტები, ისე საგამოცდო ვარიანტები.
3. აზრთა სხვადასხვაობაა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით. ლექცია უნდა ჩატარდეს მაღლივიდან და იქნება თუ არა უწყვეტი დენის წყარო. ზოგიერთის აზრით, ჯერ არ ვართ მზად ელექტრონული სწავლებისთვის.
4. მიღებულ იქნა დოქტორანტურის ახალი სტანდარტი. ეს ეხება განსაკუთრებით დოქტორანტთა ზღვრულ რაოდენობას. დასაშვებია 3 აქტიური დოქტორანტი, მაქსიმუმ 5. 2025 წლის 1 იანვრამდე დარეგულირდეს აღნიშნული საკითხი. შესაძლებელია ხელმძღვანელის მოწვევა გარედან.
5. აუცილებელია საკუთარი ჟურნალების განვითარება. მათი სკოპუსის ან ვებ ოფ საიენსის ბაზაში ინდექსირება. გამოიყოფა თანხები ამ მიმართულებით. აქტიური მუშაობით შესაძლებელია 2-3 წელიწადში ამის მიღწევა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — გ. ერქომაიშვილი